CPV 50312000

ხელშეკრულება №26
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 16.03. 2011 წელი

შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისმე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის ,,ა" ქვეპუნტის თანახმად, ერთის მხრივ
საქართველოს კონტროლის პალატასა, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ლაცაბიძის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
მის.: ქ. თბილისი ქეთევან დედოფლის გამზირი №96 და მეორეს მხრივ,
შპს ,,იუ-ჯი-თი"-ს, წარმოდგენილი მისი ფინანსური დირექტორის ერმილე სულაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), შორის
მის. ჭავჭავაძის გამზ.№17ა, თბილისი, საქართველო, ტ.: 22 05 05;
მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, გაუწიოს შემსყიდველს **ერთი ცალი სმარტ ბორდის სამონტაჟო მომსახურება,** შემდგომში ,,მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი მომსახურებადა გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს: **250** (ორასორმოცდაათი) დოლარის ექვივალენტს ლარში, დღგ-ს ჩათვლით, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.
3.2. მომსახურების გაწევის ადგილია: საქართველოს კონტროლის პალატა ქეთევან დედოფლის გამზირი № 96

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება, ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული მომსახურებისათვის.
4.3. მომსახურება, ან მისი ნაწილის მიღებისას და/ან საბოლოო შემოწმებისას გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება- მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის და შეესაბამება დადგენილ სტადარტებს.
6.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების, ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.3. მიმწოდებლის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების, ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის არსებული კურსის შესაბამისად.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალიწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 5 პროცენტის ოდენობით, ამასთან, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1.შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მთლიანი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თავად იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4. 12.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს, ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი და/ან გამოსცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალიწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის (ინპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

13.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლია აღმოფხვრა.

13.4. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის გარანტიისა, ან სხვა ვალდებულებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებული და ხელმოწერილია ორი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"
საქართველოს კონტროლის პალატა
ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზირი№96
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ა/ა 200122900;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051956

გიორგი ლაცაბიძე
საქართველოს კონტროლის პალატის
თავმჯდომარის მოადგილე

"მიმწოდებელი"
შპს"იუ-ჯი-თი"
მის.:თბილისი, ჭავჭავაძის გამზ№ 17ა,
სს „საქართველოს ბანკი", ცენტრ. ფილიალი
ბანკის კოდი 220 101 502
ა/ა 033467065
საიდენტიფიკაციო კოდი: 204892964

ერმილე სულაძე
ფინანსური დირექტორი